ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2317601

ნომერი: AR1350070

თარიღი : 19.10.2015

გაცემის თარიღი : 01.12.2015

გაცნობის თარიღი : 01.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1350070 განაცხადით წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შესათანხმებლად ატვირთული დოკუმენტაცია არასრულყოფილია და გააჩნია გარკვეული ტიპის ხარვეზები, კერძოდ:

1) წარმოსადგენია შეთანხმებული გრგ–ს პროექტში შემავალი #01.13.07.002.037 საკადასტრო ერთეულის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

2) დაუშვებელია ერთი საპროექტო მოცულობის სხვადასხვა სექტორში არსებობა. შესაბამისად #1, #2 და #3 სექტორებში შენობა–ნაგებობების კონფიგურაცია და ადგილმდებარეობა საჭიროებს ცვლილებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შენობა–ნაგებობები გადადის კონსოლით, უფლებრივ–ზონირების რუკაზე შენიშვნის სახით იქნეს განმარტებული.

3) წარმოსადგენია არსებული ხე–ნარგავების ტაქსაცია, მათი მოჭრის ან გადარგვის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

4) ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით დასაკორექტირებელია სექტორების კომფიგურაცია (რის მიხედვითაც მოხდება შემდგომ ტერიტორიის გამიჯვნა).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული დოკუმენტების წარმოსადგენად; დანიშნულ ვადაში განაცხადის არწარმოდგენის შემთხვევაში, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.